სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
2020-2021
სადოქტორო პროგრამა „სამუსიკისმცოდნეო კვლევები“
(სპეციალობები: მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, ეთნომუსიკოლოგია, საეკლესიო მუსიკოლოგია, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია და თეორია)

მისაღები გამოცდის მოთხოვნები სპეციალობაში

გამოცდა სპეციალობაში (დადებითი შეფასება: 71 - 100).

სპეციალობაში აპლიკანტის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება **სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადის, სტატიის, პრეზენტაციისა და გასაუბრების კომპონენტებში მიღებული შეფასებების ჯამით.**

დარგობრივი კომისიის მიერ შესაფასებელი კომპონენტები:

- **სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადი.**
- **სამეცნიერო ნაშრომი (სტატია/რეფერატი).** დოქტორანტობის მსურველის სამუსიკისმცოდნეო პროფილის ნაშრომში (მოცულობა: 0.5 ნაბეჭდი თაბახი, 7-12 გვერდი) დასმული პრობლემა არ არის აუცილებელი ორიგინალური და ახალი იყოს. ამ თვალსაზრისით, ნაშრომი შეიძლება ატარებდეს ნაწილობრივ რეფერატულ ხასიათს და არ არის აუცილებელი იყოს გამოქვეყნებული
- **აპლიკანტის მიერ სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადის პრეზენტაცია** 15 წუთის ფარგლებში PowerPoint-ის ფორმატში
- **აპლიკანტთან გასაუბრება** პროექტთან დაკავშირებული პრობლემატიკის ირგვლივ.